როლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

კვირა, 26 ოქტომბერი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 3 კაპ.

წითელი არმიელი

№ 634 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა სავლე ელს. 16
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც'. ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 სათამდე.

წითელ-არმიელო! იბრძოლე გინების წინააღმდეგ. ჩვენ უნდა მოვსპოთ ის.

გინება არ შეფერის თავისუფალ და გათვითცნობიერებულ ადამიანს.

ის ამცირებს და შეურაცყოფს ადამიანის ღირსებას.

გინება ბატონყმობის ნაშთია.

ცუდი ჩვეულებები უნდა აღმოვფხვრათ.

ერთი ცუდი ჩვეულება აქვს ჩვენ გლეხს; განსაკუთრებით ქართლ-კახელს. მე მოგახსენებთ გინებაზე.

ამ საკითხის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა ამხ. ი. ტალახაძის წერილი.

მართლაც და დაუშვებელია კაცი იმდენად შეუგნებელი იყოს, რომ ჩვენ დროს უწმაწურ სიტყვებს ხმარობდეს.

სოფლად კი თითქმის თვითეულ ფეხის ნაბიჯზე გაიგონებთ სხვა და სხვა გინებას.

მირეკავს გლეხი ხარებს და ოდნავ გაბრაზება საკმარისია პატრონის ცოლი და დედა ქია-ქია გაიტანოს.

პატრონი თითონ არის. ხარებს პატრონის დედას აგინებს, მაშასადამე აგინებს საკუთარ დედას.

სხვა დროს, შემთხვევით რომ შეაგინოს საკუთარი დედა ნეკზე იკბენს —ღმერთო მაპატიეო. გაჯავრების დროს კი თავის შეუმჩნევლად არხეინად ილანძღება და ვერაფერს გებულობს.

წინეთ გლეხობაზე არავინ ფიქრობდა; ცუდი სიტყვები კი არა, თავში რომ ქვა ეცა, ნუ ჩადიხარო არავინ ეტყოდა.

თავადებს და აზნაურებს კაცად არ მიაჩნდათ და მის გაკაცებაზე განა იფიქრებდენ? რასაკვირველია არა. დღეს კი საქმე სულ სხვანაირად არის მოწყობილი.

მთავრობა დღე და ღამე ჩვენზე ფიქრობს, გვასწავლიან წერა-კითხვას. გვიხსნიან ცხოვრების ვითარებას: რა არის კარგი და რა არის ცუდი.

დღეს სირცხვილია გლეხი იგინებოდეს, მით უფრო საკუთარ თავს აგინებდეს.

დაუშვებელია საკუთარ სახედარს კაცი მიდენიდეს და „შენ პატრონ ძაღლოო" ეძახოდეს.

ის რომ შეაჩერო და კითხო, მართლა ძაღლია თუ არა ამ სახედრის პატრონი—გაკვირვებული შემოგხედავს.

ჩვენთან ჯარში მოდიან სოფლის ახალგაზრდები. მათ მშობლებიდან მიღებული აქვთ ეს არა სასიამოვნო მემკვიდრეობა—გინება. ჯარში მომუშავე ამხანაგების პირდაპირი მოვალეობა არის მიიღონ ამ ცუდი ზნის აღმოსაფხვრელად ყოველგვარი ზომები.

საჭიროა ამ მხრივ თაოსნობის გაწევა. უნდა მოეწყოს საერთო კრებები სადაც ფართოთ უნდა იყოს გაშუქებული გინების უარყოფითი მხარეები და დაუშვებლობა. ახსნა განმარტებით, რჩევით და დარიგებით შევსძლებთ ჩვენ ამ ცუდი მხარის გამოსწორებას. ადმინისტრატიული და უფროსული ზომები მას ვერ მოსპობს და ამიტომ არც უნდა იყოს ნახმარი.

ჩვენთან მოვიდა გლეხის შვილი, მან იცის სხვა და სხვა გინება. ჩვენი მოვალეობა არის მოვსპოთ მასში ეს ცუდი მხარე, გადავაჩვიოთ გინებას და ისე დავუბრუნოთ სოფელს.

იქ კი მან უნდა მიიღოს სათანადო ზომები და სოფელშიაც მოსპოს ეს ცუდი ადათი.

ამისათვის კი საჭიროა საუბრების და დარიგებების ჩატარება. უფროსთა და პოლიტ-მომუშავეთა შემადგენლობავ, მიაქციეთ ყურადღება გინების მოსპობას. ჩაბით მის მოსპობის საქმეში უშუალოდ თვით წითელ-არმიელები. ყველა ნაწილის ამოცანა უნდა იყოს: არც ერთი მაგინებელი ჩვენს რიგებში.

რადიო-დეპეშები.

სახელმწიფოებრივი გადატრიალება ჩინეთში.

გენერალი ფინ-იუი-სიანი

23 ოქტომბერს მე 11-ე დივიზიის უფროსმა გენერალ ფინ-იუი-სიანმა გადატრიალება მოახდინა პეკინში.

ის მოულოდნელად შეიჭრა ჩინეთის დედა ქალაქში თავისი ჯარებით.

პეკინის გარნიზონი მის მხარეზე გადავიდა.

პრეზიდენტი და მინისტრები შეეცადნენ გაქცევას, მაგრამ უკვე გვიანღა იყო.

ფინ-იუი-სიანის მოწოდებაში მოსახლეობის მიმართ ნათქვამია:

„ჩინეთის რესპუბლიკა 13 წელია აწარმოებდა მუდმივ ომს, რამაც მეტად დასტანჯა ხალხი. მე ვიბრძვი მშვიდობიანობისა და ომის შეწყვეტისათვის. მოსახლეობის, ვაჭრების და უცხოელების სიცოცხლე და ქონება დაცულ იქნება".

საბჭოთა-ჩინეთის მოლაპარაკებაში მყოფ ჩინეთის წარმომადგენელმა ფან-ჩჟენ-ტინმა ინახულა საბჭოთა საელჩო და აცნობა წარმომადგენელს, რომ გადაწყვეტილია შეცვლილ იქნას მთავრობის შემადგენლობა. შესდგება აღმასრულებელი კომიტეტი ჩინელებისაგან.

გაზეთების ცნობით, ზოგიერთ მინისტრი დაპატიმრებული იქნება.

უ-პეი-ფუ გარშემორტყმულია,

უ-პეი-ფუს მდგომარეობა კრიტიკულია. ფინ-იუი-სიანის ჯარების დახევის გამო, ჩჟან-ცზო-ლინმა აწარმოა მოვლითი მოძრაობა და შეტევაზე გადავიდა ზურგიდან უ-პეი-ფუს წინააღმდეგ.

უ-პეი-ფუ გარშემორტყმულია. როგორც სჩანს მთელი გეგმა წინასწარ ყოფილა შედგენილი ფინ-იუი-სიანსა და ჩჟან-ცზო-ლინს შორის.

პეკინთან კავშირი შეწყვეტილია.

ცაო-კუნი პეკინში არ არის.

პეკინთან კავშირი შეწყვეტილია. იტყობინებიან, რომ პეკინი იმყოფება გენერალ ფინ-იუი-სიანის ხელში, რომელმაც ხელში ჩაიგდო ქალაქი 20.000 ჯარის კაცის საშუალებით.

პრეზიდენტი ცაო-კუნი პეკინში არ არის. როგორც სჩანს მან მოასწრო გაქცევა.

იაპონიის მთავრობამ განკარგულება მისცა პორტ-არტურის გუბერნატორს გააგზავნოს 6 გუნდი სამხრეთ-მანჯურიის რკინის გზაზე. გაგზავნილ იქნა აგრეთვე ორი განმანადგურებელი ტიან-ცზინის მიმართულებით.

შორეულ ჩინეთში.

დღევანდელ რადიომ მოგვიტანა ისეთი ცნობები, რომლებიც სრულიად შეცვლის მებრძოლ ძალთა განწყობილებას და სამოქალაქო ომის დასასრულსაც დაახლოვებს.

ჩინეთში სამი ძალა იბრძოდა, რომელსაც თავის მხრივ ანტანტის ძლიერი სახელმწიფოები ეხმარებოდენ იარაღით და ფულით. დღევანდელი სამოქალაქო ომი ჩინეთში გაგრძელებაა იმ უშედეგო რევოლიუციების დაწყებული 12 წლიდან, რომელსაც ანგარიშით უცხოელებიც ხელს უწყობდენ.

ამ ხანად ცენტრალურ, პეკინის მთავრობის წინააღმდეგ რომელსაც პრეზიდენტი ცაო-კუნი და მისი გენერალი უ-პეი-ფუ ანსახიერებს, იბრძვის ჩრდილოეთი და მანჯურია გენერალ ჩჟან-ცზო-ლინის ხელმძღვანელობით და სამხრეთ ჩინეთში გაბატონებული სუნ-იატ-სენის რევოლიუციონური მთავრობა. სუნ-იატ-სენის მოძრაობას ნაციონალურ-რევოლიუციონური ელფერი აკრავს.

ის იბრძვის ჩინეთის ნაციონალურ აღორძინებისა და გასათავისუფლებლად. მოძრაობის მთავარ ძალას შეადგენს მშრომელი ინტელიგენცია, დემოკრატიული წრეები და მშრომელთა გათვითცნობიერებული ნაწილი.

ამ მოძრაობის გამარჯვება უქადის ბოლოს მოღებას ჩინეთის ხალხის იმ უსაზღვრო ექსპლოტაციას, რომელსაც ეწევიან უცხოეთის იმპერიალისტები დღიდგან ჩინეთის აღმოჩენისა. ეს კარგათ ესმით იმპერიალიზმის ოხოვარეზს და ამიტომაცაა, რომ ისინი არავითარ საშუალებას არ ზოგავდნენ პეკინის მთავრობის გასამაგრებლად, ხალხის ამ მუწუკის და პარაზიტების გროვას, რომლებიც ჩინეთის ხალხის გრძელ ისტორიულ გზაზე, მუდამ ტორმოზის როლს თამაშობდენ ხალხის გამათავისუფლებელ მოძრაობის საქმეში.

დღევანდელი რადიო იტყობინება, რომ სწორედ ამ მთავრობის ერთ-ერთმა გენერალმა მოიხსნა ჯარი ფრონტიდან და შეიპყრო პეკინის მთავრობა. ის თავის პირველ მანიფესტში აცხადებს, რომ ჩინეთის ხალხს მოსძულდა ყოველგვარი ომი და ის ეხლავე მებრძოლთა შორის ჩამოაგდებს ზავს-

ადრე თუ გვიან ასე უნდა დაბოლოვებულიყო ჩინეთის ამბები. უცხოელების მიერ ჩინეთის უსაზღვრო ყვლეფა, მათ ფულზე სამოქალაქო ომის წარმოება, დაქსაქსვა—ყველა ეს ნათელი შეიქმნებოდა ჩინეთისათვის. ამის შეგნება კი მოასწავებდა ჩინეთის ნაციონალურ გაერთიანებას და მთლიან ფრონტის შექმნას უცხოელების მიმართ.

ეს უკანასკნელი ამბებიც ამ გზის ეტაპია.

ცხადია შექმნილი ახალი პოლიტიკური პირობები დიდ გაუგებრობაში ჩააგდებდა უცხოეთის წარმომადგენლებს, რომლებიც ბატონებივით გრძნობენ თავს პეკინში, და რომელსაც უთუოდ ძლიერ ადრე მოელო ბოლო. საბჭოთა კავშირისათვის კი ეს მისაღებია იმდენად, რამდენადაც უკანასკნელი ამბები ხელის შემწყობია ჩინეთის მთლიანობის და დამოუკიდებლობის საქმისათვის.

ნ.

განცხადება.

ორშაბათს, ა/წ. 27 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზედ, აღმასკომის შენობაში დანიშნულია ტფილისის საბჭოს შემდეგი სექციების მორიგი სხდომა.

1. **კომუნალურის**—აღმასკომის დარბაზი.

დღის წესრიგი.

1) საბინაო საკითხის შესახებ მოხსენების გაგრძელება.
2) მიმდინარე საკითხები.

2. **საფინანსოსი**—ოთახი № 17.

დღის წესრიგი:

1) სარენტო გადასახადი
2) მიმდინარე საკითხები.

3. **ჯანმრთელობის**—ოთახი № 5.

დღის წესრიგი:

1) საკითხი ტუბერკულიოზის სამდღიურის ჩატარების შესახებ მთელი რესპუბლიკის და კერძოდ ქ. ტფილისის მასშტაბით.
2) მიმდინარე საკითხები.

4. **განათლების**—ოთახი № 32.

დღის წესრიგი:

1) განყოფილების მომავალი მუშაობის გეგმა.
2) მიმდინარე საკითხები

5. **სადგილ-მამულოსი**—ოთახი № 66.

დღის წესრიგი:

1) აგრო დახმარების შესახებ.
2) მიმდინარე საკითხები.

6. **ზაჰესკომის-ზაჰესის კანცელარია.**

დღის წესრიგი:

1) სამასალო ნაწილის განყოფილების მუშაობის შესახებ მოხსენება.
2) მიმდინარე საკითხები.

დასწრება სექციების ყველა წევრთა თავის დროზედ სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.

საარჩევნო კამპანია ინგლისში.

საარჩევნო სიტყვები.

კონსერვატორმა ლორდ დებრიმ განაცხადა:

„მე დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთი ერთ პროცენტსაც არ მოგვცემს იმ კაპიტალიდან, რომელსაც მას აძლევენ სესხად. ეს თვით საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა განაცხადეს“-ო.

პანსიონბიმ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულების პირობები საუკეთესოა.

საბჭოთა დელეგაცია დასთანხმდა ამ პირობებზე, ვინაიდან საქმე ჰქონდა მუშათა მთავრობასთან.

„ჩვენ არ ვაძლევთ არავითარ ფულებს რუსეთს, განაცხადა მან; ხელშეკრულება მხოლოდ წინასწარი ნაბიჯი და შეთანხმებაა ხელშეკრულებისათვის.

სესხის ნაწილი დახარჯულ იქნება ინგლისში, ხოლო ნაწილი რუსეთის აღორძინების საქმეზე.

სესხი არ იქნება დახარჯული პროპაგანდაზე“.

კონსერვატორ ბირკენიტმა განაცხადა: „მე შეგნებულად ვსდებ ბრალს მაკდონალდს, რომ ის აწარმოებდა ბრიტანეთის საწინააღმდეგო პოლიტიკას. დიდი კრიზისის დროს ის სცდილობდა შემოეღო ბრიტანეთის არმიაში საბჭოები. დღესაც კი არსებობს განუწყვეტელი კავშირი მოსკოვსა და ბრიტანეთის სოციალისტების უკიდურეს ელემენტებს შორის.

ცუდი ნუგეში.

სამთო-მადნო მუშების მიტინგზე მაკდონალდმა განაცხადა:

„უმუშევრობა მაღაროებში გამოწვეულია არა იმით, რომ ძალა-უფლებას სათავეში უდგას მუშათა მთავრობა. ამის მიზეზია მუშებსა და მეპატრონეებს შორის მომხდარი უკმაყოფილება ხელფასის გარშემო.

პოლონეთი

სეიმის შემოდგომის სესია.

პოლონეთის შემოდგომის სესიის გახსნაზე მოხსენებით გამოვიდა პრემიერი გრაბსკი.

გრაბსკიმ აღნიშნა მთავრობის მშვიდობის მოყვარეობის პოლიტიკა და განაცხადა, რომ მშვიდობიანობის უზრუნველყოფის საკითხი არ იქნება საიმედო, სანამ საერთაშორისო ურთიერთობის „ორბიტში“ არ იქნებიან ჩაბმული გერმანია და საბჭოთა კავშირი. მხოლოდ მაშინ დამშვიდდება პოლონეთი და არ ექნება მოსალოდნელი შიში.

შემდეგ გრაბსკი შეეხო პოლონეთის განაპირა ადგილების მდგომარეობაზე.

ამ ადგილებში მომხდარი შემთხვევები უფრო სერიოზულია, ვინემ ბანდიტიზმი.

პოლონეთის მთავრობა მომავალში აწარმოებს განაპირა ადგილების პოლიტიკას ისე, რომ სეიმში მონაწილეობას არ მიაღებიებს ნაციონალურ უმცირესობათა წარმომადგენლებს.

ამ განცხადებამ მეტად აღაშფოთა ნაციონალურ უმცირესობათა წარმომადგენლები.

გერმანია.

კომუნისტების დევნა.

გერმანიის პარლამენტის მომავალ არჩევნების გამო, ხელისუფლებამ დაუწყო დევნა კომუნისტებს, რათა ხელი შეუშალონ მათ აგიტაციის წარმოებაში.

ჩხრეკენ და აპატიმრებენ კომუნისტ დეპუტატებს.

გამოცემულია ბრძანება 62 კომუნისტ დეპუტატის და ცენტრალური კომიტეტის დაპატიმრების შესახებ.

საბჭოთა ფედერაციაში

ცენტრალური აღმასკომის სესიის სხდომა.

მოხსენება საკავშირო მოქალაქეობის შესახებ.

საბჭოთა კავშირის ცენტრ. აღმასკომის სხდომაზე (24 ოქტომბერს) ამხ. ჩიჩერინმა მოხსენება გააკეთა საკავშირო მოქალაქეობის შესახებ. ჩიჩერინმა აღნიშნა, რომ საბჭოთა სახელმწიფო მატარებელია მსოფლიო ისტორიული იდეალების და ასრულებს დიად ისტორიულ მისიას.

საბჭოთა მოქალაქეობის ცნება სულ სხვაა, ვიდრე ბურჟუაზიულ ქვეყნების მოქალაქეობისა. ამიტომ კავშირის მოქალაქეობის შესახებ დებულებაში ნათქვამია, რომ ყოველი უცხოელი მოქალაქე, რომელიც სცხოვრობს საბჭოთა ტერიტორიაზე და ეკუთვნის მუშათა კლასს, სარგებლობს საბჭოთა კავშირის მოქალაქის ყოველი პოლიტიკური უფლებებით, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მოქალაქეთათვის წესდება ერთნაირი საკავშირო მოქალაქეობა და ყოველ ცალკე რესპუბლიკის მოქ. აქვს ისეთივე უფლებები და ვალდებულებები, როგორიც დაწესებულია საბჭოთა კავშირის მოქალაქეებისათვის.

ჩიჩერინის შემდეგ მოხსენებას აკეთებს ცაკის მდივანი ამხ. ენუქიძე იმ კანონების შესახებ, რომლებიც გამოცემული იყო საბჭოთა ყრილობის მიმდინარე სესიის შეკრებამდი, რომლებიც თანახმად კონსტიტუციისა დამტკიცებულ უნდა იქნას საბჭოთა კავშირის ცაკის მიერ.

როგორ შევხდეთ ახალ წვეულებს პირველ დღეებში.

ზოგიერთ ნაწილებში უკვე მოვიდენ ახალ წვეულები. მოვიდენ და თან მოიტანეს ჯერ კიდევ შერჩენილი ადათები.

ძველ წითელ-არმიელებს ერთი შეხედვითაც ეჩოთირებათ ახლების ყოფა-ცხოვრება. სწორეთ აქ არის საჭირო ფრთხილი ქცევა და მოფიქრებული მოპყრობა. საჭიროა ახალწვეულის ისე მოდგომა, რომ პიროვნება არ შეურაცხყოთ.

საქმე ის არის, რომ ხშირად შენიშვნა სამართლიანი იქნება მაგრამ თქმა გამოვა ისეთი, რომ კაცი უბრალო ჯიუტობით არ მიიღებს მას.

ბატონო.

პირველ ყოვლისა რაც თვითეულ ახალ მოსულს აკრია ენაზე ეს არის სიტყვა „ბატონო“.

ბევრი ამბობს ეს ზრდილობის ნიშანია. თუ კაცი ზრდილობიანია, ის მუდამ ბატონოს ხმარობს, უზრდელი და უნამუსო მის ხმარებას გაურბისო.

ეს არ არის მართალი.

რასაკვირველია სიტყვა ბატონო ძველი თაობის მიერ მიჩნეული იყო პატიოსან სიტყვათ.

ძველი თაობა კი მემამულეები, თავადები და აზნაურები იყვენ.

გლეხი იძულებული იყო ქედ მოხრილი წამდგარიყო მათ წინაშე.

მუხლებზე დაეჩოქნა, კალთაზე მთხვევოდა, ბატონო და შენი ჭირიმე ეძახნა. ეს ნიშნავდა სრულ მონობას და მორჩილებას. თავისთავად ცხადია ამ სიტყვაზე უფრო პატიოსანი სიტყვა ბატონისათვის სხვა არ მოიძებნებოდა.

მემამულესთვის, თავადისთვის და აზნაურისათვის რომ გეთქვათ-აბა თქვენც მიმართეთ გლეხს მაგავე სიტყვით, მაშინ ის გეტყოდათ, რომ ეგ არ შეიძლება. მემამულე გლეხს როგორ ეტყვის ბატონოო.

ნეტავი რატომ?

იმიტომ რომ სიტყვა ბატონო პატიოსნებას კი არ ნიშნავს, მონამორჩილების გამომსახველია.

ეს იქიდანაც კარგად სჩანს, რომ თვით თავადებს და აზნაურებს შეურაცხყოფად და დამცირებათ მიაჩნდათ იგი. დამცირებათ მიაჩნდათ იმ შემთხვევაში თუ რომ მათ „უბატონოს“ თქმით მიმართავდა გლეხი. დამამცირებლად მიაჩდათ იმ შემთხვევაშიაც, თუ რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდა თავადი თავს გაუყადრებდა თავის ტოლ გლეხიშვილებს და არას ეტყოდა უბატონოდ მიმართვაზე.

არამც თუ სიტყვა ბატონო, სიტყვა **თქვენ** ერთნაირ მორჩილების გამომსახველი იყო ძველი ბატონების ჭკუით.

ძველი ჯარის წესდებაში პირდაპირ ეწერა განსაკუთრებული მუხლი, რომლის ძალითაც ოფიცერი ვალდებული იყო ჯარის კაცისათვის **შენ** ეთქვა და არა **თქვენ**. ამის შეუსრულებლობისათვის სასჯელიც მოსალოდნელი იყო.

ბიჭო, გოგო, გაიგონებთ ეხლაც ძველი თავადების ოჯახებში. „რა დროებას მოვესწარი, ჩემი ბიჭი იყო და ეხლა ისპოლკომიაო“-ბრაზმორეული ამბობს ხოლმე ზოგიერთი ვაჟბატონი.

ერთი სიტყვით სიტყვა **ბატონო** პატიოსნებას გამოსახავდა მღვდლების, თავადების და ბერების აზრით. ეს იყო მათთვის სასარგებლო, ამ სიტყვით იმორჩილებდენ ისინი ადამიანს.

ჩვენთვის კი ის არის მონამორჩილების მომასწავებელი. იგი ამოფხვრილ უნდა იქნეს ჩვენს ხმარებაში.

რა ნაირად და რა გზით?

თავისთავად ცხადია, ადვილი გადასაჩვევი არ არის, რომელიმე ჩვეულების შეთვისება. ამასაც ესაჭიროება დრო. თავდაპირველი არა მარტო ამ სიტყვის ხმარების მოსპობაა. ამ სიტყვის მნიშვნელობა არის. დღეს ზოგი მას ზედმეტ სიტყვად ხმარობს ისე, როგორც ეს მოსდის ღმერთმანის მთქმელს, რომელსაც არც ხატი და არც ღმერთი არ წამებია და არც წამს.

ცუდია, რასაკვირველია, უბრალო წამოცდენაც. მე რა ვიცი უბრალოდ ამბობს თუ ბრალიანად. მაგრამ მართალი უნდა ითქვას ბევრი ბატონოს არა უბრალოდ, არა სიტყვის შნოსთვის ხმარობს, არამედ იმიტომ, რომ ფიქრობს ეს საჭირო არისო.

ხშირია ეს არა მარტო სოფლებში, არამედ განათლებულ ხალხშიაც.

მხოლოდ საქმე ის არის რომ, როგორც სხვა ნაკლულევანების მოსპობას, ისე ამ ნაკლს ერთნაირი ფრთხილი ნაბიჯი ეჭირვება. არ შეიძლება ამის მხმარებელ ამხანაგს უთხრათ შენ გლახა ყოფილხარ, წუთისოფელს ჩამორჩენილ ხარ არ იცი რომ დღეს ბატონები აღარ არისო. მართალია დღეს ბატონები აღარ არიან.

მაგრამ კაცს მაინც ეწყინება წუთისოფელს ჩამორჩენილ ხარ-ის თქმა. ეწყინება შენიშვნის მიცემა.

საჭირო არის არა ყოყოჩობა და შენიშვნები, არამედ ამხანაგური ახსნა—განმარტება. საკუთარი მაგალითის მიცემა. არავის არ უნდა გაუკვირდეს ის თუ დღეს ამხანაგი ახალწვეულები ჯერ-ჯერობით ხმარობენ ამ სიტყვას.

გავა დღე ორი, სამი და ცოტა მეტი და არც ერთი არ გვეყოლება ჩვენ ასეთი.

სარწმუნოების საკითხი.

ერთ საჭირბოროტო საკითხს ეკუთვნის სარწმუნოების საკითხი. ჩვენ ვიძახით ქართველ კაცს ნაკლებად უყვარს ეკლესიაო. ეს მართალია. მართალია ისიც რომ მღვდელი ეჯავრება ქართველ გლეხს. მაგრამ მართალია ისიც, რომ ღმერთი მას მაინც სწამს. შეიძლება იყოს შეიძლება არ იყოს—ფიქრობს გლეხი ღმერთის შესახებ. რომ იყოს ხომ აღარ შემეწევა. მოდი სანთელს ავანთებ, თუ არის მოწყალებით შემომხედავს, თუ არ არის რას წავაგებო.

ასე ფიქრობს ის და ამას ანგარიში უნდა გაეწიოს. მხოლოდ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხატები დავდგათ და მის წინაშე მეტანია შევასრულოთ. სარწმუნოება მძიმე საკითხია, ერთი ცულის მოქნევით ხე არ წაიქცევა. არ შეიძლება მორწმუნეს მიხვიდე დ დაუმტვრიო ხატები, ჯვარი და ამის მერე თქვა ავალებიე ხელი სარწმუნოებრივ სიბნელეზეო. აქ საჭიროა გულმოდგინე ახსნა-განმარტება. მაგალითებით დამტკიცება იმისა, რომ რაც ქვეყნად ხდება ეს ღმერთის საქმე არ არის. ყოველივეს ბუნება განაგებს. კაცი ებრძვის ბუნებას და იპყრობს მას.

უწინდელ ადამიანს ცეცხლი ღმერთი ეგონა. დღეს სულ გაუნათლებელ გლეხს, რომ უთხრა ცეცხლი ღმერთიაო სიცილით მოკვდება.

ასევე სასაცილოდ არ ყოფნის დღევანდელ საზოგადოების ერთ ნაწილს „ცათაშინა“ წმინდანების არსებობა, მეორე ნაწილს კი სწამს ის და სწამს მტკიცედ.

ამიტომ დაცინვა, გაქირდვა, პირადი თავმოყვარეობის შებღალვა კი არ არის საჭირო-ამხანაგური ახსნა და განმარტება. საკუთარი მაგალითის ჩვენება.

ღმერთი ეს მდიდრებმა გამოიგონეს. მღვდლები დაიქირავეს და საიქიოს დაპირებით ხალხი მონობაში იყოლიეს.

ჩვენ დავამსხვრიეთ მონობის ულელი. ყველა თანაბარ უფლებიანად ავაღვიარეთ.

ჩვენ უნდა მოვსპოთ ამ მონობის ნაშთიც; მაგრამ ამას ესაჭიროება მეტი მოთმინება და მეტი დრო.

—ძმ.

ჩვენი წითელი ყაზარმა

ცუდი ჩვეულება გადავაგდოთ.

ამ დღეებში პირველ ლეგიონმა მიიღო რამდენიმე ათეული ახალწვეულთა, როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოდან.

საყურადღებოა ერთი რამ, რაც თვალში ეცემა ყველას, წითელ არმიელთ თუ მეთაურთ, მასწავლებელს და ექიმებს, ვისაც წითელ ყაზარმაში თუნდაც ორი სამი თვე გაუტარებია.

ზოგიერთი ახალწვეულნი, უმთავრესათ აღმოსავლეთ საქართველოდან ხშირათ და ანგარიშ-მიუცემლათ იგინებიან უშვერ სიტყვებით. თითქმის როცა ისინი ერთი მეორეს მეგობრულად და საქმიანათ ემუსაიფებიან, ყოველ ორ სამ წინადადებაში საგინებელი სიტყვა უნდა გაურიონ.

„არა უშავს რაო, ჩვენ ასე ვართ შეჩვეულიო" გეტყვიან როცა შენიშნავ ამაზე.

მეორე მხრით, ისინი, უმთავრესათ იმერლები, წამდა უწუმ ხმარობენ სიტყვა „ბატონო"ს. მათ ვერ წარმოუდგენიათ რომ შესაძლებელი იყოს უ „ბატონო"თ რისამე თქმა და ამასაც „ჩვეულებათ" ასაბუთებენ. სამწუხაროა ამასთან ისიც რომ, ზოგიერთ მასწავლებელთ და სხვებს, უთუოდ მოსწონთ ეს სიტყა და „ზრდილობათ" მიაჩნიათ.

ამ მოვლენის წინააღმდეგ პოლიტ ხელმძღვანელები და მეთაურები თავის დროზე იტყვიან, მაგრამ ასეთი ჩვეულებებთან ბრძოლაში ყველაზე უფრო გამოდება ჩვენი ძველი წითელ მოლაშქრეები.

ძველ წ.-არმიელებში იშვიათია ასეთი ჩვეულება და მათ უკვე ეჯავრებათ ეს სიტყვები, მეორეთ, ყველაზე უფრო ახლოს ახლებთან დგანან ისინი.

მათ აქვთ საშუალება ყოველი სიტყა და მოქმედება გაუსწორონ ახლებს, შთააგონონ მათ წითელი ყაზარმის წესი და ჩვეულებანი.

მასწავლებლობა აქ უნდა აწარმოებდეს სათანადო მუშაობას.

გ. ძია.

გორის მაზრის ჯარში გასაწვევ ახალგაზრდობის მისალმება.

საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, პირველ დივიზიის სარდლობას და პოლიტგანყოფილებას.

გორის მაზრის ჯარში გასაწვევი ახალგაზრდობა, მაზრის ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთათ გიძღვნით მხურვალე სალამს თქვენ, საქართველოს მუშების და გლეხების კეთილდღეობისათვის მებრძოლთ და მის ახალ ყოფა, ცხოვრების მომწყობთ; და თქვენ, საქართველოს წითელი ჯარის შემქნელთ და მის სახელოვან ხელმძღვანელთ. გესალმებით და გისურვებთ დაუშრეტელ ენერგიას საქართველოს მუშურ გლეხურ მასების ბრწყინვალე მომავლის აღმშენებლობაში.

ჩვენ კი, დღეიდან მოვემგზავრებით რა თქვენთან, წითელ არმიელის საამაყო სახელწოდების მისაღებათ, ვაცხადებთ მთელი სულით და გულით მზათ ვართ და გულის ფანცქალით მოველით იმ წუთებს, როდესაც აშკარა ბრძოლაში საშვალება მოგვეცემა საქმეზე დაგიმტკიცოთ ჩვენი ერთგულება და თავდადება მშრომელთა კეთილდღეობისათვის და მით გავამართლოთ წითელ-არმიელის საამაყო ს. ხელწოდება.

სალამი და გამარჯვება თქვენ, ჩვენს მომავალ ხელმძღვანელებს.

სიკვდილი მტრებს!

ჩვენ შევისწავლით და გამოვიყენებთ სამხედრო ხელოვნებას!!

გაუმარჯოს ბრძოლის და აღმშენებლობის სკოლას, სახელოვან წითელ ლაშქარს და მის ხელმძღვანელს და ბელადს ამხ. ტროცკის.

ქ. გორი. ახალწვეულთა მიტინგი,

როგორ ვცხოვრობთ.

ჩვენი მეექვსე ლეგიონი ოქტომბრის პირველ რიცხვებიდან უკვე ახალსენაკში იმყოფება.

უნდა გენახა, როგორი სიხარული გამოიწვია ადგილობრივ გლეხებში ჩვენმა ჩასვლამ.

ჩვენ იმედი გვაქვს გავამართლებთ ადგილობრივ მშრომელების იმედებს. მათ ჩვენ დავეხმარებით ყოველგვარ მუშაობის წარმოებაში.

შეძლების დაგვარად ჩვენ შევიტანთ ულარიბეს გლეხობაში კულტურის და განათლების სხივებს.

აქაური გლეხობა სრულიად დარწმუნებულია წითელი ჯარის თავისებურობაში და მათთვის ნათელია ძველი და ახალი მუშურ-გლეხური ჯარებს შორის განსხვავება.

ჩვენი ლეგიონი უკვე შეუდგა გლეხობასთან ერთად მუშაობის წარმოებას.

ამავე დროს ლეგიონში დაიწყო სისტემატიური მეცადინეობა, როგორც სამხედრო, ისე სხვა დარგებში. წითელი არმიელები დიდი სიხალისით ეკიდებიან ყველა ხასიათის სამუშაოს.

სენაკის მაზრამ ჩვენს განკარგულებაში გადმოგვცა სკოლა, რომელშიაც სისტემატიურად სწარმოებს არმიელების მეცადინეობა. გვაქვს შესაფერისად მოწყობილი კლუბი. ასე რომ ადგილობრივი ხელისუფლება ყოველ მხრივად დიდ დახმარებას გვიწევს.

ჩვენი ლეგიონი ყოველ მხრივ კმაყოფილია, მხოლოდ ერთი კია, რომ გაზეთები არ მოგვდის და იმედი გვაქვს ამ მოვლენას ყურადღებას მიაქცევენ სათანადო ორგანოები და დაგვეხმარებიან გაზეთის მოწოდების საქმეში.

ა. ჭკადუა,

ჩვენი კულტგანმანათლებელი მუშაობა.

სასკოლო მუშაობა.

ჩვენს ათასეულში ბლომად მოიპოებიან წერა-კითხვის უცოდინარი წითელ-არმიელები, რომლის სალიკვიდაციოთ დუშეთში ჩასვლისთანავე იქნა მიღებული სათანადო ზომები. დანიშნულ იქნა მასწავლებელი და წითელ არმიელებიც გულდასმით შეუდგენ წერა-კითხვის შესწავლის საქმეს.

წრეების მუშაობა.

ჩვენს ათასეულში ამოქმედებულია უმთავრესი კულტურული წრეები, მაგალითად გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს პოლიტწრეში, ლიტერატურულ წრეში, ფიზკულტურის, საერთო განათლების და დრამატიულ წრეებში.

კედლის გაზეთი.

მეორე ათასეულს თავის საკუთარი კედლის გაზეთიც აქვს „ჩვენი გმირის „სახელწოდებით". გაზეთი ძლიერ აინტერესებს არა მარტო ჩვენს მოლაშქრეებს, არამედ დუშეთის მშრომელ ხალხსაც. გაზეთში მოთავსებული მოსწრებული კარიკატურები ძლიერ იზიდავს საზოგადოებას. მიღებულია ყოველგვარი ზომები, რათა არ შეფერხდეს გაზეთის გამოცემის საქმე.

პოლიტ საათი.

პოლიტ საათები სისტემატიურად მიმდინარეობენ. წითელი მოლაშქრეები დაინტერესებული არიან მით და სისტემატიურადაც ესწრებიან.

სამწყობრო საქმე.

სამწყობრო მეცადინეობას უმთავრესი ყურადღება ექცევა ამ ჟამად ჩვენს ათასეულში. წითელ არმიელები ძლიერ კარგად ითვისებენ ყველაფერს.

სამხკორ ბალათურია.

მე-5-თე ლეგიონის ურთიერთ დამხმარე კასა.

ამ ბოლო ხანებში მოხდა 5-თე ლეგიონის ურთიერთ დამხმარე კასის გამგეობის არჩევნები.

თუ რა გამოარკვია რევიზიამ ეს სხვა დროისათვის გადაგვიდვია, მაგრამ ერთი კი საკვირველია და სახელდობრ ის, თუ რატომ ჩვენ ხვედრ ფულს არ გვაძლევენ.

ერთი ამხანაგიდან დატოვებული მაქვს მინდობილობის ქაღალდი, რომელიც დღეს განთავისუფლებულია სამხედრო სამსახურიდან, რომ მისი ფული ამეღო, მაგრამ ფულს კი არავინ მაძლევს, პირიქით ისიც კი მითხრეს „გერგებაო და დგეხართო"-ო.

ეს თავის თავად ცხადია, რომ მერგება და ვდგევარ, მაგრამ საჭიროა გაიგოს გამგეობამ, რომ ჩვენი ფული უნდა მოგვეცეს, თორემ რას იტყვიან უვადო შვებულებაში წასული ჩვენი ამხანაგები?

თუ კასას ფული აკლია, ეგ ჩვენი საქმე არ არის, ეს საქმე თვით მათ მოაგვარონ. ჩვენ კი აქ არაფერი დანაშაული მიგვიძღვის.

კოლო.

ჩვენი შემოქმედებანი.

„ტალა" პირველ დივიზ. პირველ ლეგიონის ყოველ კვირეული კედლის გაზეთი.

ფორმატი დიდია—კარგია, მაგრამ ქაღალდი მაინც არ გამოკეთებულა, მიუხედავად ჩვენი შენიშვნებისა.

თავში კვლავ ისეთივე სურათია—მხოლოდ ფერადი საღებავებით,—როგორც ამას წინა ნომერზე გვქონდა აღნიშნული (წითელ-არმიელი—დროშით, რომელზედაც აწერია გაზეთის სახელწოდება—მღვდელთა და სხვათა ხროვაზე შემდგარი).

პირველი წერილები მოკლე, მხოლოდ ცოტა პატარა ასოებითაა ნაწერი, რაც შემდეგისთვის აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.

მეთაური წერილი („სადღეისო") ეხება ახალწვეულთა მოლოდინს და შესაფერისი ცოდნითაა დაწერილი.

დანარჩენი წერილები ეხება ლეგიონის ცხოვრებას გუნდების, „წითელ კუთხეების, პასუხებს და სხვა) რაც კედლის გაზეთის დანიშნულებათა მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

აქვეა ამხ. მსხილაძის ლექსი რომელიც მიძღვნილია თავისუფლებისათვის მებრძოლ ჩინეთზე.

შემდეგ მიდის ქრონიკა და ბოლოს იუმორი, მხოლოდ კარიკატურებით—საჭიროა იუმორისტული წერილებიც, წითელ და შავი დაფის განყოფილება, მხატვრული პროზის შეტანა, კალენდარული დღეები, ნაწყვეტები სამხედრო ისტორიიდან, წითელ ჯარის შესახებ, წითელ-არმიელთა შთაბეჭდილებები; წერილების, პოეზიის და სხვების განსაკუთრებულ განყოფილებებათ დაყოფა, რომ გაზეთი უფრო მიმზიდველი გახდეს.

საპი.

როგორ ვცხოვრობთ და ვმუშაობთ.

დიდი ხანი არ არის, რაც ჩამოყალიბდა ქართულ მეორე დივიზიის ცალკე საკავშირო ასეული. სულ ოცი დღე იქნება რაც ჩვენ დავბინავდით ქალაქ ქუთაისში და შეუდექით ნორმალურ ცხოვრებას.

არ შეიძლება ითქვას, რომ აქ ყველაფერი მოწესრიგებული დაგვხვედროდეს. ჩვენს ნაწილს ქუთაისში დახვდა ცარიელი გაფხეკილი ყაზარმა და შტაბი. ჩვენი საკუთარი შრომით და ენერგიის დახარჯვით შევიძინეთ საჭირო საგნები.

კვების საქმე.

დავბინავდით თუ არა ყაზარმებში, პირველ მნიშვნელობის საკითხად ჩვენს წინაშე წამოიჭრა კვების საკითხი, რომელიც სათანადოთ მოწესრიგებული დაგვხვდა. კერძი საუცხოვო მზადდება. ხოლო მისი სისწორით განაწილებისათვის, ასეულის საერთო კრებამ გამოყო დამხმარე ჯგუფი, რომელიც თვალყურს ადევნებს ამ საქმეს.

ჩაცმა-დახურვის საქმე.

ჩვენი ასეული ამ მხრივ სრულიად უზრუნველყოფილია. ყველა წითელ არმიელებს დაურიგდა შინელები და ფეხსაცმელები. ხალათების და შარვლების დარიგება მოხდება ამ დღეებში. ჩვენი მნე გვპირდება და ალბად აგვისრულებს.

სანიტარული მდგომარეობა.

სისუფთავის მხრივ ვერა ვართ მაინც და მაინც უზრუნველყოფილი. ყაზარმის ეზოში არაა საჭირო სისუფთავე დაცული. ამას აქვს თავის დამაბრკოლებელი მიზეზები, რომლის გამოსწორება უნდა მოხდეს რაც შეიძლება ჩქარა. ეს ექიმის, თანაშემწის № 2-ის საყურადღებოდ.

პოლიტ—საათი.

პირველი კვირის განმავლობაში პოლიტ-საათები ჩვენთან არ ჩატარებულა, რადგან ამას ხელს უშლიდა ნაწილის მოწყობისათვის გაცხარებული მუშაობა. ამ ჟამად პოლიტ-საათები სისტემატიურად მიმდინარეობენ, მაგრამ ერთი მაინც უნდა აღინიშნოს.

სამწუხაროდ მეცადინეობას სისტემატიურად თუ ესწრება 30—40 პროც. წითელი არმიელების და ეს იმიტომ, რომ თითქმის ყოველდღიურად გადის საყარაულო თუ სხვა სამუშაოზე 10—12 კაცი.

სასკოლო მეცადინეობა.

სასკოლო მეცადინეობაც ისეთ მდგომარეობაშია თითქმის, როგორც პოლიტიკური. ხოლოთ რაც ისწავლეს წერა კითხვის უცოდინარ წითელ არმიელებმა, პოლიტგანყოფილების სასკოლო განყოფილების უფროსის შემოწმებით დამაკმაყოფილებლად იქნა ჩათვლილი.

ლენინის კუთხე.

ნაწილის მთელი შემადგენლობის ყურადღება პირველად აქეთკენ იქნა მიქცეული.

კუთხის მოსაწყობათ ნაწილს არ მოეპოებოდა არც სურათები, არც მაგიდა და არც სათანადო წიგნები. ლენინის კუთხის მოსაწყობად ამისთვის გაღებული იქნა სათანადო თანხა და ამ ჟამად ჩვენი ლენინის კუთხე ლამაზად არის მოწყობილი.

სამკითხველო.

სამკითხველო ჯერ-ჯერობით არა გვაქვს, რადგან არ არის არც ამისათვის აუცილებელი ინვენტარი და არც წიგნები. ეს საკითხი მოითხოვს დაჩქარებით გადაწყვეტას. სამკითხველო აუცილებელია.

არც გაზეთები მოგვდის სისტემატიურად და ესეც მოითხოვს მოწესრიგებას.

კედლის გაზეთი.

გამოუშვით ჩვენი კედლის გაზეთის პირველი ნომერი.

მასალების დალაგებაში დაცულია წესი და საერთოდ გაზეთი დასრულებულ და მთლიან შთაბეჭდილებას სტოვებს.

ასე რომ ჩვენი კედლის გაზეთი, რომელსაც რედკოლეგიამ უწოდა „წითელი კავშირელი" იმედებს იძლევა შემდეგისათვის. საჭიროა ასეულის უფ-ადმ შემადგენლობამ მოგვაწოდოს მასალები, რაც შინაარსის მხრივ ბევრ რამეს შემატებს გაზეთს.

სხვა და სხვა წრეების საქმიანობა.

ჩვენს ასეულში დაარსებულია სულ სამი წრე პოლიტ-ლიტერატურული 2) უფშემადგენლობასთან სამეცადინო და პარტ-წრეები.

ყველა წრეებში ჩაწერილი არიან წითელ-არმიელები და მეცადინეობას სისტემატიურად ესწრებიან.

სამწყობრო და სპეციალური ხასიათის მეცადინეობა ჯერ-ჯერობით არ დაწყებულა.

კომუჯრედი.

ასეულში დაარსებულია კომუჯრედი, რომელშიდაც ირიცხება 2 პარტიის წევრი, 1 კანდიდატი და 5 კომკავშირელი. უჯრედი მიმაგრებულია ქუთაისის ფოსტა ტელეგრაფის კომუჯრედთან და ხშირად ეწყობა უჯრედების გაერთიანებული კრებები.

უპარტიო წითელ-არმიელები ძლიერ დაინტერესებული არიან კომუჯრედის მუშაობით და ბევრია პარტიაში შესვლის მსურველი.

კომუჯრედიც ჩქარა გადადგამს ნაბიჯს ამ საკითხის მოსაგვარებლად.

ჩატარებული კამპანიები.

ამ მცირე ხნის განმავლობაში ასეულის კომუჯრედმა ჩაატარა ორი მნიშვნელოვანი კამპანია. პირველი ინტერნაციონალის 60 წლის თავი და მენშევიკების ავანტიურის შესახებ.

აი ყველა ის, რასაც ადგილი აქვს ჩვენს ჯერ კიდევ სრულიად ახლად შემდგარ ნაწილში.

სამხკორი სერმონია.

მეცნიერება და ტეხნიკა.

ავადმყოფების შემოწმება რადიოს საშუალებით.

თანამედროვე მეცნიერება გიგანტური ნაბიჯებით მიიწევს წინ. აღმოჩენები-აღმოჩენებზე ხდება და დღეს რომ შეუძლებლად მიაჩნია ადამიანს, ხვალ ის უკვე ადვილი შესაძლებელი ხდება-

რადიოს საშუალებით ავადმყოფების მოსმენა და მათი შემოწმება მეცნიერების დიდ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს.

ამ უკანასკნელ ხანებში ძლიერ აინტერესებდა, როგორც რადიოს სპეციალისტებს, ისე ექიმსაც და დიდი მუშაობა სწარმოებდა იმ მიმართულებით, რომ რადიოს საშუალებით შესაძლებელი ყოფილიყო ადამიანის გულის ცემის, პულსის გადაცემა მანძილზე.

ეს ამოცანა წარმატებით შესრულა ქალაქ სენ-ლუის უნივერსიტეტის პროფესორმა მლვდელმა.

მან სულ ადვილად შესძლო პულსის გადაცემა 800 კილომეტრის მანძილზე რადიოს საშუალებით.

ხსენებულმა მღვდელმა გადასცა თავისი პაციენტის პულსი ერთ ცნობილ ექიმს შორეულ ტეხასში.

ცდა მშვენივრად დაგვირგვინდა. ექიმმა ამოდენა მანძილიდან გადაცემული პულსი დიდებულად მოისმინა. აი მისი სიტყვებიც:

„პაციენტის გულის ცემა ისე მესმოდა, როგორც ჩემს წინ მდებარე ჩვეულებრივი ჯიბის საათის ხმა“.

ამ ჟამად უფრო გასაოცარ შედეგებს მიაღწიეს გერმანიაში ამ მხრივ.

ერთმა გერმანელმა პროფესორმა მოახერხა რადიოს საშუალებით, არა ჩვეულებრივი ადამიანის გულის ცემა, არამედ ჯერ კიდევ დედის მუცელში მყოფ ბავშვის პულსის გადაცემა.

ამერიკაში კი უფრო საყოველთაო ხასიათი მიიღო ამ მოვლენამ.

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატების სამედიცინო საზოგადოების შენობაში ამ ჟამად მოთავსებულია, რადიო-აპარატი.

დააყენებენ ავადმყოფს ამ აპარატთან და მის პულსს რადიოთი ისმენს ერთ და იმავე დროს 750 ექიმი და ყველა თავის დასკვნებს იძლევა.

ამ ნაირად ავადმყოფის შემოწმება შესაძლებელი ხდება ეხლა მრავალი ექიმებიდან ერთ და იმავე დროს, რომლებიც სხვა და სხვა ქალაქებში თავისუფლად სხედან თავის კაბინეტებში.

სამხედრო ტრიბუნალში.

17 ოქტომბერს ტრიბუნალმა გაარჩია საქმე უმცროს მეთაურთა მოსამზადებელ სკოლის წითელ არმიელ გიორგი კოტრიკაძსი, რომელსაც ბრალდებოდა სამხედრო ნაწილის თავის ნებით მიტოვება და სახაზინო ნივთების გაფლანგვა.

უდანაშაულოდ არავის სჯიან.

საქმის ვითარება ასეთია: კოტრიკაძეს აუცილებლივ ესაჭიროებოდა სახლში წასვლა რამოდენიმე დღით. ნებართვა ითხოვა უფროსებისაგან, მაგრამ უარი უთხრეს, უთუოთ სათანადო მიზეზების გამო. კოტრიკაძემ იფიქრა და გადასწყვიტა:

წავალ ერთი-ორი დღით და მაშინვე დავბრუნდებიო. წავიდა მართლაც, დარჩა სახლში მხოლოდ 7 საათი, და მაშინვე დაბრუნდა ნაწილში 25 ივლისს გაიპარა და 27-ში უკვე ნაწილში იყო. გზაში უფრო დიდხანს მოუნდა ვიდრე სახლში დარჩენას. აღნიშნული დრო არ გვაძლევს დეზერტირობის სახეობას, ამასთანავე მიზეზებიც საკმაოდ ჰქონდა. მაზედაც დროებით სახმარებლად გაცემულ ნივთებიდგან კი კოტრიკაძეს არაფერი არ გაუფლანგავს.

ტრიბუნალმა მიიღო ზემო აღნიშნული გარემოებანი მხედველობაში, არც ერთი ბრალდება დამტკიცებულად არ ჩასთვალა და ბრალდებული სრულიად გაანთავისუფლა.

წით. არმ. სიკო ჯაშიაშვილის საქმე.

22 ოქტომბრის სხდომაზე სამხედრო ტრიბუნალმა გაარჩია ცხენოსან ლეგიონის წითელ მოლაშქრის სიკო ჯაშიაშვილის საქმე, რომელსაც ბრალი ედებოდა სამხედრო ნაწილის უნებართვოდ მიტოვებაში და სახლში გაპარვაში.

საქმის ვითარება.

ბრალდებული ჯაშიაშვილი ცხენოსან ლეგიონის წითელი მოლაშქრეა. საზოგადოდ, წესიერ მოლაშქრედ ითვლებოდა. წერა-კითხვის მცირე მცოდნეა, მაგრამ იმ ხნის განმავლობაში, რომელიც მან დაჰყო წითელ ჯარში, სადაც კულტურულ განმანათლებელ მუშაობა სასურველ ნიადაგზე არის დაყენებული, უნდა შეესწავლა მოვალეობანი წითელი ლაშქრელისა, და უნდა შეეთვისებინა სამხედრო დისციპლინა. აი აქ კი მოიკოჭლებს ჩვენი ჯაშიაშვილი და მიმდინარე წლის 3 ივნისს, არავის არ დაკითხებია, არ აუღია ნებართვა და ისე გაეშურა სახლისაკენ. სახლში, როგორც ის ამბობს, ოჯახური პირობები გართულებული იყო; შეიძლება ეს ასეც იყო, მაგრამ მით უმეტეს აუცილებელია რომ უფროსებისათვის შეეტყობინებინა რაშიდაც იყო საქმე, ისინი ეჭვი არ არის შევიდოდენ მის მდგომარეობაში. დარჩა სახლში 14-15 დღე და შემდეგ ისევ დაუბრუნდა ნაწილს.

სამხედრო ტრიბუნალმა მიიღო მხედველობაში რომ ჯაშიაშვილი არის გლეხი, უსწავლელი და გამოუცდელი კაცი, ამ დანაშაულისათვის მას მიუსაჯა საჯარიმო გუნდში მოთავსება მხოლოდ ორი თვის ვადით.

რაც შეეხება ქონების ნაწილის კონფისკაციას, რომელიც ჯაშიაშვილს ჰქონდა მისჯილი, მისი ქონებრივი ხელმოკლეობის გამო ტრიბუნალმა მას სავსებით აპატია.

დიხ.

ანტი-რელიგიურ ფრონტზე.

როგორ წარმოიშვა და განვითარდა სარწმუნოება.

წინა წერილში ჩვენ გავიგეთ თუ როგორ ჩაესახა პირველ ყოფილ ადამიანს შიში ბუნების სხვა და სხვა მოვლენების წინაშე.

მას ვერ გაეგო ამ მოვლენების წარმოშობის მიზეზები და ეს გარემოება უფრო აძლიერებდა ადამიანში შიშის გრძნობას.

ბუნების მოვლენას ის ყოველ ნაბიჯზე ხედავდა და გრძნობდა, ხოლო მიზეზს კი ვერა მისი აზრით, ეს უხილავი მიზეზი იყო რაღაც გარეშე ძალა და უსათუოდ ეს უნდა ყოფილიყო ის ძალა, რომელიც წარმოშობდა წვიმასა და თოვლს, ჭექა-ქუხილს, ხან კი მოავლენდა კარგს ამინდს და მზეს, რომლის მოძრაობაზე დამოკიდებული იყო სინათლე და სიბნელე, ე. ი. დღე და ღამე.

როგორც აღვნიშნეთ, ზოგი მოვლენა ადამიანში იწვევდა უსიამოვნებას, ზოგი კი სიამოვნების გრძნობას. ამ გარემოების მიხედვით მის მიერ ცნობილი ქვეყანა ორად იყოფოდა: ერთი მხარე მისთვის მისაღები და სასიამოვნო იყო, მეორე კი შიშსა და უსიამოვნებას გვრიდა.

აქ მის გონებაში დაისახა ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე ძალის არსებობა. მისი აზრით ეს ორი ძალა ებრძოდა ერთი-მეორეს, ხან ერთი გაიმარჯვებდა და ხან მეორე. ესენი იყვნენ კეთილი და ბოროტი ძალები. ადამიანი მუდამ გაურბოდა ბოროტ ძალას, ვინაიდან ის ბევრ უსიამოვნებას და დაბრკოლებას ანიჭებდა მას. კეთილი ძალა ადამიანისათვის სასურველი იყო. ადამიანი ერთგვარ სიყვარულსა და მოწიწებას გრძნობდა კეთილი ძალის მიმართ.

პირველყოფილი ადამიანის განმარტოებული ოჯახი დროთა განმავლობაში შეუერთდა მეორე ოჯახს, გაიბა ნათესაური კავშირი სხვა ოჯახებთან და შემდეგ თანდათანობით ჩამოყალიბდა თემი და საზოგადოება. ადამიანის მსოფლმხედველობა თითქოს გაფართოვდა. ის სხვა მონათესავე ადამიანებთან შეერთებული ძალით ებრძოდა ბუნებას, შეერთებული ძალით უხვდებოდა ბუნების ყოველგვარ საშიშროებას და დაეძებდა საზრდოს. მან უფრო ფართოდ გაიცნო თავის გარშემო მყოფი ადგილები; ქვეყანა თითქოს გაფართოვდა მის თვალში.

ადამიანმა აღმოაჩინა ცეცხლი. მან დაიმორჩილა ბუნების ერთი საიდუმლოება, რომელმაც შემდეგში დიდი სარგებლობა მოუტანა. ადამიანი შეეჩვია ცეცხლის ხმარებას, მის გამოყენებას, მაგრამ ის მისთვის მაინც საიდუმლოებას წარმოადგენდა ისე, როგორც სხვა ძალები. ამ ძალის წინაშეც იგრძნო ადამიანმა ერთგვარი მოკრძალება. ცეცხლი მან ჩასთვალა კეთილ ძალად და მისი მოკრძალება ცეცხლის მიმართ დასაწყისი იყო ცეცხლ-თაყვანის-მცემლობისა. ეს ცეცხლთაყვანისცემა მრავალ საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა და დღესაც არის მისი ნაშთი ზოგიერთ ჩამორჩენილ ერებში. ჩვენშიაც დარჩენილია ეს ცეცხლთაყვანის ცემის ჩვეულება შემდეგი სახით: მაგალითად, როცა ძველი ჩვეულების მქონე ოჯახში ბავში ავად გახდება შეციებით, მოხუცი ქალები მაშინვე ცეცხლზე გადაატარებენ ბავშს რამოდენიმეჯერ, უმურ შეყრილიაო. ცეცხლი ძველი რწმენის მიხედვით წმიდა საგანია და უმურს კი, როგორც ყოველ ბოროტ სულს, ეშინია ცეცხლის და მაშინვე დასტოვებს ავადმყოფს, როგორც კი მოხდება ცეცხლის ძალაო.

ძველი ადამიანისთვის ასეთივე წმინდა საგანი იყო მზე. მზის ამოსვლა ადამიანს ახარებდა, ათბობდა და სიამოვნებას გვრიდა. რა თქმა უნდა მზეს კეთილ ძალად გაიხდიდა ადამიანი. მზის ამოსვლას ის ერთგვარი მოკრძალებითა და სიამოვნებით შეხვდებოდა ყოველთვის, ხოლო შემდეგ პატივსაცემი სიტყვებიც კი შეადგინა მის სადიდებლად.

ადამიანმა განავითარა და შეავსო ეს სიტყვები, რომელმაც ბოლოს ლოცვის სახე მიიღო. ასეთი ლოცვები ანუ შელოცვები, როგორც მას ძველებურად უწოდებენ, ბუნების ყოველ მოვლენისათვის შეთხზა ადამიანმა. მაგალითად სახალხო ზეპირსიტყვაობაში ჩვენ ხშირად ვხვდებით სხვა და სხვა გვარ შელოცვებს. ეს შელოცვები კეთილი ძალის მიმართ ქება-დიდებით იყო შედგენილი, ხოლო ბოროტი ძალების მიმართ კი წყევლითა და სიძულვილით აღვსილი. დღეს ხალხში დარჩენილია მრავალი შელოცვები მზის, ქარის, ცეცხლის, ქუხილის და სხვა და სხვა მოვლენების შესახებ. ყოველივე ცალკე მოვლენის წარმოშობის მიზეზად ადამიანმა იგულისხმა სხვა და სხვა ძალა და ეს ძალაც მისი აზრით სხვა და სხვა ხასიათის იყო (კეთილი, ან ბოროტი) იმისდა მიხედვით, თუ როგორ მოვლენასთან ჰქონდა მას საქმე. აქედან ჩაეყარა საფუძველი იმ აუარებელი ღმერთების რწმენას, რომელსაც ადგილი ჰქონდა უძველესი დროიდან ქრისტეს დაბადებამდი. უფრო უახლოესი გაგებით ღმერთი არის ვითომდა კეთილი სული. მაშინ კი ღმერთი ნიშნავდა გარეშე ძალას--კეთილი იყო ის თუ ბოროტი.

რაც დრო გადიოდა, ღმერთების რიცხვი იზრდებოდა. მაგალითად წარმოიშვა **ომის ღმერთი** (ეს როცა მეზობელ თემებსა და საზოგადოებებს შორის წინააღმდეგობა და ომი დაიწყო), **მოსავლის ღმერთი** (როცა ადამიანმა მიწის დამუშავებას შეუდგა) და მრავალი სხვა.

№

ამბები სოფლებიდან.

საფეიქრო სახელოსნო ოზურგეთში.

ოზურგეთში განზრახულია გაიხსნას ქალთა საფეიქრო სახელოსნო, რომელსაც აღმასკომი შეჰპირდა ფინანსიურ დახმარებას.

ბანდიტური გამოსვლების გამო.

სენაკის სამაზრო აღმასკომმა გამოყო ცალკე კომისია, რომელიც განიხილავს საჩივრებს, ბანდიტურ გამოსვლების გამო ჩამორთმეულ ქონების შესახებ.

სოფ. გლოლის გლეხობა.

რაჭის სამაზრო აღმასკომმა გამოყო კომისია, რომელსაც დაავალა სოფ. გლოლიდან გადასახლების მსურველ გლეხების გადასახლების საქმის მოგვარება სხვა ადგილზე.

დახმარება სამეურნეო ტეხნიკუმს.

სენაკის აღმასკომმა გადასწყვიტა დაეხმაროს ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ტეხნიკუმს 5.000 მანეთით ყოველწლიურათ და იზრუნოს მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

ბაქანი სოფ. კახურში.

ოზურგეთის აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა რკინის გზის სამმართველოს წინაშე, ოზურგეთიდან 4 ვერსის დაშორებით, სოფ. კახურში ბაქანის გახსნის შესახებ.

სასწავლებლების რიცხვი გორის მაზრაში.

გორის მაზრაში ამ ჟამად არსებობს 213 ოთხწლედი სკოლა. 11—შვიდწლედი, 3—ცხრა წლედი და 2 ტეხნიკუმი. სულ 229 სასწავლებელია.

წერა-კითხვის უცოდინარობა რაჭაში.

რაჭის სამაზრო აღმასკომთან ონში, შესდგა საორგანიზაციო ბიურო, რომლის მიზანიცაა წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლა.

კონტრრევოლიუციონური მეჯოგე.

ოზურგეთის აღმასკომის დადგენილებით საჯაროთ გაიყიდება მეჯოგე ძიკი კვარაცხელიასაგან ჩამორთმეული ჯოგი. კვარაცხელია მონაწილეობას ღებულობდა ბანდიტურ გამოსვლებში.

ახალი ამბები.

— **კინო-თეატრის გადაცემა წითელი არმიისთვის.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა განათლების კომისარიატს, გადასცეს 1-ლ. ქართ. დივიზიას კინო თეატრი „ოაზისი“.

— **სამხედრო აკადემიაში მივლინება.** ამხ. პ. აღნიაშვილის მივლინებისა გამო სამხედრო აკადემიაში, საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა მისცეს ყოველთვიურათ მის ოჯახს ასი მანეთი.

— **ოქტომბრის დღესასწაულებისათვის.** 1-ლი ქართ. დივიზიის პოლიტგანყოფილების საკლუბო განყოფილებამ დაბეჭდა და ნაწილებს დაუგზავნა სამხ.-რევოლიუციონური სიმღერები (ნოტები).

— **ახალი წვევის გამო.** სენაკის სამაზრო აღმასკომმა აკრძალა მაგარი სასმელებით ვაჭრობა 20 ოქტომბრიდან 1-ლ ნოემბრამდე ახალი წვევის კამპანიის ჩატარების გამო.

— **ბრძოლა მალიარიასთან.** პროფესორი ვორონინი ახლო ხანში წაიკითხავს ლექციას: „ციებ-ცხელება საქართველოში„.

— **ბრძოლა მინდვრის მავნებლებთან.** ჯანსახკომმა შეიმუშავა გეგმა მინდვრის მავნებლებთან ბრძოლის შესახებ. გეგმის თანახმად სოფლებში ჩატარებულ იქნება ლექცია-საუბრები.

— **გამასწორებელ სახლების გამოკვლევა.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა გამოყოს ცალკე კომისია, რომელსაც დაევალა რესპუბლიკაში არსებულ გამასწორებელ სახლების გამოკვლევა და სათანადო გეგმის წარდგენა მათ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

დაიკარგა აღრიცხვის წიგნაკი №1941 გაცემული ტფილისის სამაზრო სამხედრო კომისარიატიდან ირაკლი ონისიმეს-ძე კაპარავას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ნ. დ. ს. ც ტირაჟი 2.000 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—პ. ჩუხიძე